აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №8

აბაშა, 2025 წლის 2 ივნისი

ოქმი №8

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 2 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, ნანა შენგელია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინ კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, პროკოფი ნიკურაძე,ზეზვა მაკალათია ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დავით გუნია, ბაქარ შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია კუცია, გია მიგინეიშვილი, შოთა ჭანტურაია, ქეთევან ლობჟანიძე, მეგული ჩოჩია და გელა ლაბარტყავა.
აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ა. კაჭარავა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი ქ. ცომაია, შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსი ქ. ნაჭყეპია.
საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი – ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი თ. შოთაძე და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 ივნისის მორიგი №8 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ტ. ხოშტარია

3. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ტ. ხოშტარია

4. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ქ. ნაჭყეპია

6. აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხს. ა. კაჭარავა

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომაზე დამსწრეთ განუმარტა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, რომ მიმდინარეობს სხდომის ფოტოგადაღება, ფოტოსურათები გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე, რაც ეხება სხდომაზე დამსწრე არათანამდებობის პირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე დამსწრე პირებს წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ.

მოისმინეს:
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 ივნისის მორიგი №8 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 ივნისის მორიგი №8 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.
კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 ივნისის მორიგი №8 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 20 -მა წევრმა.
წინააღმდეგი 0.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №35 (თან ერთვის)

2

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.
კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 20-მა წევრმა.
წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
დადგენილება №6 (თან ერთვის)

3

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხს. ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.
კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 20 -მა წევრმა.

წინააღმდეგი 0.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
დადგენილება №7 (თან ერთვის)

4

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.
კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 20-მა წევრმა.
წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №36 (თან ერთვის)

5

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ქ. ნაჭყეპია

მომხსენებელმა ქ. ნაჭყეპიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 20-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №37 (თან ერთვის)

6

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხს. ა. კაჭარავა

მომხსენებელმა ა. კაჭარავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 20-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №38 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: გ. ხოშტარია

საქართველო • GEORGIA • COUNCIL OF ABASHA MUNICIPALITY • 22248643